ისტორიულ-არქიტექტურული კვლევა

ლადო გუდიაშვილის №20



თბილისი
2023, მარტი

ლადო გუდიაშვილის ქ. №20, მრავალფუნქციური შენობა – თანამედროვე ხელოვნების მუზეუმი, ბიზნეს-საზოგადოებრივი-გასართობი ცენტრი, ისტორიული თბილისის ცენტრალური ნაწილის, ყოფილი ე.წ. "გარეთუბნის" ფარგლებში მდებარეობს. ეს ადგილი რუსთაველის (გოლოვინსკის) პროსპექტზე გამავალი მნიშვნელოვანი არქიტექტურული ანსამბლის შემადგენელს წარმოადგენს.



XIXს. I ნახევარში, როდესაც რუსთაველის პროსპექტი საბოლოოდ ჩამოყალიბდა, როგორც ქალაქის ადმინისტრაციული, ფინანსური და კულტურული ცენტრი, აქ აშენებულ ქარვასლებს, (ერევანსკის მოედანზე, ყოფ. სასახლის ქუჩაზე), ემატება ბევრი ახალი მდიდრული მაღაზია, ხოლო XXს. დასაწყისისათვის შენდება ბანკები, თეატრები და კინო-თეატრები.



გამზირის ძველი, ტიპური თბილისური ორსართულიანი განაშენიანება 50-60 წლების შემდგომ იცვლება უფრო დიდი, 3-4 სართულიანი "ევროპული" შემოსავლიანი სახლებით, რომლებსაც აშენებენ გამდიდრებული თბილისელი კომერსანტები და მეწარმეები: ზუბალაშვილები, სარაჯიშვილი, მელიქ აზარიანცი და სხვ. აქვე, ქალაქის ფეშენებელურ კვარტალში, შენდება უმთავრესი ევროპულად გამართული სასტუმროები "ორიენტი", "ჩრდილოეთის ნომრები", "მაჟესტიკი" და სხვ.



რუსთაველის გამზირი (ყოფილი გოლოვინის გამზირი) ერთ-ერთი მთავარი გამზირია თბილისის ცენტრში, რომელსაც სახელი შოთა რუსთაველის პატივსაცემად დაერქვა. რუსთაველის გამზირი ძველად თავისუფლების მოედნიდან არ იწყებოდა, არამედ მეფისნაცვლის სასახლიდან (ახლა ახალგაზრდობის სახლი). მოკლე, გამზირზე უფრო ვიწრო მონაკვეთს მოედანსა და გამზირს შორის სასახლის ქუჩა ერქვა.

რუსთაველის გამზირის ისტორია XIX საუკუნის პირველი წლებიდან იწყება. რუსთაველის გამზირის დასაწყისთან, დღევანდელი მოსწავლე ახალგაზრდობის რესპუბლიკური სასახლის ნაკვეთი მთავარმართებლის რეზიდენციისათვის იქნა შერჩეული, სადაც 1807 წელს ახალი შენობის აგება დაიწყეს.1831 წელს გაიხსნა ვაჟთა პირველი გიმნაზია.



1833-1835 წლებში მიწისმზომელ ტოვარნიცკის მიერ მოწყობილი ტოპოგრაფიული სამუშაოების საფუძველზე შედგა გეგმა და გამზირის გასწვრივ, რომლის სიგრძე დაახლოებით კილომეტრამდე იყო, დაიწყო მიწის ნაკვეთების განაწილება დიდ მოხელეებზე, თავადებზე და სამხედრო პირებზე სახლების მშენებლობისათვის. ამ გამზირზე აგებულ შენობებს, სხვა ქუჩებთან შედარებით, უკეთესი არქიტექტურული გაფორმება უნდა ჰქონოდა.

1845-1847 წლებში არქიტექტურის აკადემიკოსის ოტო სიმონსონის პროექტით აშენდა ვორონცოვის ახალი სასახლე, რომლის რეკონსტრუქცია შემდგომში ორჯერ ჩატარდა.

1848 წელს გამზირის ერთ მხარეს – სასახლის, ღუნიბის მოედნისა და ვაჟთა პირველი გიმნაზიის წინ გაკეთდა ტროტუარი და მის გასწვრივ დაირგო ნარგავები. თუ მანამდე ეს მაგისტრალი გოლოვინის გამზირის სახელწოდებით იყო ცნობილი, შემდეგ ზოგი ამ გამზირს ბულვარს უწოდებდა. 1846 წლიდან, რუსეთის ზოგიერთი ქალაქის მსგავსად, ამ უბანში ერთი სიახლეც გაჩნდა – თბილისში შუადღისას ზარბაზნის სროლა შემოიღეს. ამ მიზნით ზარბაზანი დაიდგა ქაშვეთის ეკლესიის გვერდით, იქ, სადაც ამჟამად სურათების სახელმწიფო გალერეის შენობაა (ყოფილი დიდების ტაძარი). ამ დროს ქალაქს მხოლოდ ერთი გარე საათი ჰქონდა, სამხედრო შტაბის შენობის კოშკზე. 1882 წლიდან ზარბაზნის სროლა გამზირიდან გადაიტანეს არსენალზე (ჩუღურეთში).

ამჟამად არსებული შენობების ნუმერაცია მიღებულია თბილისის საქალაქო საბჭოს აღმასკომის 1947 წლის 12 ივნისის დადგენილების შესაბამისად. ამ დადგენილებით რუსთაველის გამზირი იწყება თავისუფლების მოედნიდან და გრძელდება რუსთაველის მოედნამდე. მისი სიგრძე 1400 მეტრს უდრის.



ქართული სახვითი ხელოვნების მუზეუმში, რომელიც 2018 წლის 2 ოქტომბერს გაიხსნა, მისი დამფუძნებლების, გია ჯოხთაბერიძისა და მანანა შევარდნაძის ოჯახის კერძო კოლექციაა გამოფენილი. მუზეუმში წარმოდგენილია, 1945 წლიდან დღემდე, 80–მდე ხელოვანის 3500–მდე ნამუშევარი.



კოლექციაში ოთხმოცამდე ავტორის 3500 ნამუშევარია. ისინი მუზეუმის მესამე, მეოთხედა მეხუთე სართულებზე 31 დარბაზში და 3 კიბის უჯრედში, თანამედროვე მოთხოვნების შესაბამის განათების, ტემპერატურულ რეჟიმისა და კონდენცირების პირობებში, მუდმივ ექსპოზიციაშია წარმოდგენილი. დარბაზები 7000 მ მოიცავს.[1] მუზეუმში ექსპოზიცია ქრონოლოგიურად არის დალაგებული სართულებზე. ასევე ქრონოლოგიურად არის წარმოდგენილი ცალკეულ მხატვართა ნამუშევრების ექსპოზიციაც, რაც მხატვრის განვითარების სხვადასხვა პერიოდს აჩვენებს.





მუზეუმი პასუხობს მსოფლიო სტანდარტების შესაბამის ყველა პირობას, როგორც მდგრადობის, ისე ტემპერატურული რეჟიმის და განათების

თვალსაზრისით. საგამოფენო სივრცე 7000 კვადრატულ მეტრს მოიცავს, საცავი კი 6000 კვადრატული მეტრის სურათებს იტევს. სივრცეს აქვს ასევე 120 კაციანი საკონფერენციო დარბაზი და 300 კვადრატული მეტრის ფართის საექსპოზიციო დარბაზი დროებითი გამოფენებისთვის. მუზეუმის შენობა მდებარეობს ქალაქის ცენტრალურ ნაწილში, რუსთაველის გამზირზე. სწორედ იმ ადგილას სადაც „მხატვრის სახლი“ იყო, რომელიც ოთხმოცდაათიანი წლების დასაწყისში თბილისში ომის დროს განადგურდა.



მუზეუმის მშენებლობა 2013 წელს დაიწყო და 5 წლის განმავლობაში გრძელდებოდა. პროექტის არქიტექტორია არჩილ ქურდიანი. მშენებლობისთვის გამოყენებულია რკინა-ბეტონი ხოლო მოპირკეთებისთვის ქვა. შენობის ფასადზე არწივის ქანდაკებაა გამოსახული, რომელიც მუზეუმის სიმბოლოს წარმოადგენს. ის, დასავლეთ საქართველოში, ვანში, არქეოლოგიური გათხრების დროს აღმოჩენილ არწივთა მცირე ფიგურების (ძვ. წ. II–I საუკუნეები) მიხედვითაა შექმნილი. ქანდაკების ავტორები დავით მინდორაშვილი და ედუარდ შახნაზაროვი არიან, რომელთა ნამუშევრები მუზეუმშიცაა წარმოდგენილი.

რუსთაველის გამზირზე დამწვარი მხატვრის სახლის შენობის ადგილას, ახალი მრავალფუნქციური მასშტაბური ნაგებობის გაჩენა არაერთმნიშვნელოვანი რეაქცია გამოიწვია საზოგადოებაში. მათ შორის კატეგორიულად წინააღმდეგი იყო შენობის არქიტექტურის მიმართ იმ დროინდელი კულტურის მინისტრი გ. ოდიშარია და მაშინ ჯერ კიდევ კულტურის სამინისტროსტან არსებული ურბანული

მემკვიდრეობის დაცვის საბჭო. ჰტტპ://კვირა.გე/14127. თუმცა პროექტმა მაინც მიიღო მშენებლობის ნებართვა და განხორციელდა კიდეც 2018 წლისთვის.



გარდა მთავარი, რუსთაველის გამზირისკენ მიმართული პომპეზური კორპუსისა მრავალფუნქციურ შენობას უკანა გუდიაშვილის ქუჩისკენ გამავალ მხარეს სპორტულ-გამაჯანსაღებელი ნაწილი გააჩნია, რომლის ერთ-ერთი მთავარი შემადგენელია ღია ბასეინი. ბასეინის ნაგებობა თეთრი ეკლარით მოპირკეთებულ ღია ტერასაზეა ჩადგმული და მხოლოდ თბილისის მეხუთე ფასადში ანუ, ზედხედიდან აღიქმება





დასკვნა-რეკომენდაცია

ლადო გუდიაშვილის №20, მრავალფუნქციური შენობის ზედა სართულის ღია ტერასაზე არსებული ბასეინის მიმდებარედ მცირე ზომის დამხმარე მოცულობის განთავსება არ ქმნის პრობლემას კულტურული მემკვიდრეობის ობიექტების აღქმის კუთხით, ვინაიდან არც ტერასა და არც მასზე განთავსებული ობიექტები არ ფარავს

ისტ. კულტ. ძეგლების აღქმის არეალს. შესაბამისად, მასზე დაბალი დამხმარე ტიპის მოცულობის განთავსება მისაღებად მიმაჩნია.

ხელოვნებათმცოდნე
ლალი ანდრონიკაშვილი

